საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

# თანამშრომლობის მემორანდუმი

## კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში თანამშრომლობის გაძლიერების შესახებ

## საქართველოს ეროვნულ ბანკსა და საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს შორის

ქ. თბილისი

11 მარტი, 2024

ერთი მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში - ეროვნული ბანკი), წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის - ნათელა თურნავას სახით და მეორე მხრივ, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ირაკლი ლექვინაძის სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებულნი მხარეებად,

*მოქმედებენ რა, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47ᵃ მუხლის, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და 31-ე მუხლებისა და „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,*

*ითვალისწინებენ რა, ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული ასოცირების შეთანხმების ყველა პრინციპსა და დებულებას, რომელიც დაკავშირებულია კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის მარეგულირებელ კანონმდებლობასა და მის იმპლემენტაციასთან,*

*აღიარებენ რა, კონკურენციის დაცვის გამჭირვალე და არადისკრიმინაციული წესების მნიშვნელობას, რომელიც არსებითია ეკონომიკის განვითარებისათვის,*

*ითვალისწინებენ რა, მომხმარებლის უფლებების დაცვის შესაბამისი მექანიზმების არსებობისა და ეფექტიანი აღსრულების აუცილებლობას,*

*პატივს სცემენ რა, მხარეთა დაცვის უფლებას, პროცედურული სამართლიანობისა და ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის პრინციპებს,*

*მხედველობაში იღებენ რა, მხარეთა შორის 2018 წლის 10 დეკემბერს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის მნიშვნელოვან შედეგებსა და წინსვლას საფინანსო სექტორში კონკურენციის პოლიტიკის გატარების მიმართულებით,*

*აღიარებენ რა, ინსტიტუციებს შორის კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის კანონმდებლობის აღსრულების პროცესში თანამშრომლობისა და მჭიდრო პარტნიორობის მნიშვნელობას,*

ხელს აწერენ წინამდებარე თანამშრომლობის მემორანდუმს (შემდგომში - მემორანდუმი).

**მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი**

მხარეებმა, საქართველოს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით, ამ მემორანდუმის შესაბამისად, უნდა გააძლიერონ თანამშრომლობა:

ა) საფინანსო სექტორში კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების, კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანად წარმართვისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ხელშეწყობის მიზნით;

ბ) საფინანსო სექტორში მომხმარებლის უფლებების დაცვის პოლიტიკის ეფექტიანად წარმართვის, დარღვევების პრევენციისა და მომხმარებელთა დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით;

გ) კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით.

**მუხლი 2. თანამშრომლობა კონკურენციის პოლიტიკის განხორციელების პროცესში**

1. მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას, კონკურენციის პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ითანამშრომლონ შემდეგი ფორმების საშუალებით:

ა) საფინანსო სექტორში კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით ღონისძიებების ერთობლივად დაგეგმვა და განხორციელება;

ბ) კონკურენციის კანონმდებლობის ცალკეული დებულებების შეცვლის/დახვეწის თაობაზე წინადადებების მომზადება, განხილვა და ანალიზი;

გ) კონსულტაციების გამართვა პრაქტიკული საქმიანობის პროცესში კონკრეტული ნორმების განმარტებისა და მიდგომების ერთმანეთისთვის გაზიარების მიზნით;

დ) მხარეთა მიერ პოზიციების/რეკომენდაციების შემუშავება და ერთმანეთისთვის წარდგენა მეორე მხარის მიერ კონკრეტული ღონისძიების განხორციელების ან/და საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროების თაობაზე;

ე) კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების საკითხებზე მხარეების მიერ ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარება, ახალი მიდგომებისა და პრეცედენტული გადაწყვეტილებების გაცნობა, ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით;

ვ) ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება კონკურენციის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით;

ზ) მხარეთა წარმომადგენლებს შორის შეხვედრები ან/და კონსულტაციები ორმხრივი ინტერესის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე ინფორმაციის/პოზიციების გაცვლასთან დაკავშირებით;

თ) მხარეთა მიერ ორგანიზებულ კონფერენციებზე, სემინარებზე და სხვა ღონისძიებებზე მონაწილეობა;

ი) მხარეთა მიერ შემუშავებული/მიღებული დოკუმენტების, კვლევების და სხვა მასალების გაცვლა;

კ) თანამშრომლობის სხვა ფორმები, შეთანხმებული მხარეთა მიერ.

2. მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას, კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების მიზნით კონკრეტული განცხადებების/საჩივრების, კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინებების განხილვისა და საქმის მოკვლევის პროცესში ითანამშრომლონ შემდეგი ფორმების საშუალებით:

ა) „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის პირველი - მე-4 პუნქტების შესაბამისად, განცხადების/საჩივრის ან/და კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისას, საკითხის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრის საჭიროების შემთხვევაში, მყისიერი კონსულტაციების გამართვა და პოზიციების დაფიქსირება;

ბ) „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-5 - მე-6 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე ერთმანეთისთვის ინფორმაციის მიწოდება და თითოეული მხარის მიერ პროცესის წარმართვის იმგვარად უზრუნველყოფა, რომ საკითხის განხილვაში ჩართული იქნეს მეორე მხარე;

გ) ინფორმაციის გაცვლა, რომელიც აუცილებელია, კომპეტენციის ფარგლებში, მხარეთა მიერ მათი უფლებამოსილების განხორციელებისათვის;

დ) „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $47^8$ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიმართვის შემთხვევაში, ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი სუბიექტისგან ინფორმაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) მყისიერად გამოთხოვა და სააგენტოსათვის მისი გადაცემა;

ე) მოკვლევის ჯგუფის წევრებისა და სხვა შესაბამისი პირების შეხვედრები/კონსულტაციები მეორე მხარის უფლებამოსილ წარმომადგენლებთან - განცხადებაში/საჩივარში დასმული პოზიციების გაანალიზების, საქმეზე მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობის დადგენის, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის, სადავო ქმედების შეფასების, კონცენტრაციის მოსალოდნელი შედეგების გაანალიზების და სხვა მსგავსი საკითხების განხილვის მიზნით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საკითხის განხილვაში ჩართულობა გულისხმობს თითოეული მხარის უფლებას:

ა) გამოითხოვოს და გაეცნოს საქმის მასალებს;

ბ) მონაწილეობა მიიღოს მხარეთა ახსნა-განმარტებებში;

გ) გაეცნოს და შესაბამისი პოზიცია დააფიქსიროს მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ აღებულ პირობით ვალდებულებებზე;

დ) გაეცნოს და შესაბამისი პოზიცია დააფიქსიროს მეორე მხარის მიერ მომზადებული საბოლოო გადაწყვეტილების პროექტზე;

ე) მონაწილეობა მიიღოს შემაჯამებელ სხდომაში;

ვ) გაეცნოს და შესაბამისი პოზიცია დააფიქსიროს მეორე მხარის მიერ პირისთვის დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობაზე.

4. მხარეები თანხმდებიან, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში, საქმის მოკვლევისა თუ კონცენტრაციის შეტყობინების განხილვის საფუძველზე მისაღებ საბოლოო გადაწყვეტილების პროექტებს გონივრული ვადით ადრე გაუზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებისა და შენიშვნებისათვის, თუმცა მხარეები შეზღუდული არ არიან მეორე მხარის განსხვავებული პოზიციით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**მუხლი 3. თანამშრომლობა მომხმარებლის უფლებების დაცვის პოლიტიკის განხორციელების პროცესში**

მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას, მომხმარებლის უფლებების დაცვის პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ითანამშრომლონ შემდეგი ფორმების საშუალებით:

ა) მომხმარებლის უფლებების დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ღონისძიებების ერთობლივად დაგეგმვა და განხორციელება;

ბ) მომხმარებლის უფლებების დაცვის კანონმდებლობის ცალკეული დებულებების შეცვლის/დახვეწის თაობაზე წინადადებების განხილვა და ანალიზი;

გ) პრაქტიკული საქმიანობის პროცესში კონკრეტული ნორმების განმარტებისა და მიდგომების ერთმანეთისთვის გაზიარების მიზნით კონსულტაციების გამართვა;

დ) მომხმარებლის უფლებების დაცვის პოლიტიკის აღსრულების საკითხებზე მხარეების მიერ ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარება და პრეცედენტული გადაწყვეტილებების გაცნობა, მომხმარებლის პერსონალური მონაცემების მიწოდების გარეშე;

ე) ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება მომხმარებლის უფლებების დაცვის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, მათ შორის, მომხმარებლების მონაწილეობით;

ვ) მხარეებს შორის თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული ფინანსური განათლების აქტივობების შესახებ ინფორმაციის ფინანსური განათლების პორტალით გავრცელება;

ზ) მხარეთა წარმომადგენლებს შორის შეხვედრები ან/და კონსულტაციები ორმხრივი ინტერესის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით;

თ) მხარეთა მიერ ორგანიზებულ კონფერენციებზე, სემინარებზე და სხვა ღონისძიებებზე მონაწილეობა;

ი) მხარეთა მიერ შემუშავებული/მიღებული დოკუმენტების, კვლევების და სხვა მასალების გაცვლა;

კ) თანამშრომლობის სხვა ფორმები, შეთანხმებული მხარეთა მიერ.

**მუხლი 4. თანამშრომლობის ფორმატი და ინფორმაციის კონფიდენციალურობა**

1. წინამდებარე მემორანდუმი იდება მხარეთა შორის თანამშრომლობის გაძლიერებისა და განვითარებისათვის და არ წარმოადგენს სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს.

2. კონკრეტული ღონისძიებების დღის წესრიგი, განხორციელების ადგილი და სხვა ელემენტები, მათ შორის ფინანსური ასპექტები, უნდა დადგინდეს ინდივიდუალურად, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

3. მხარეები თანხმდებიან, რომ ინფორმაციას, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა ამ მემორანდუმის ფარგლებში, გამოიყენებენ მხოლოდ იმ ფუნქციათა და ამოცანათა განსახორციელებლად, რაც მათ მინიჭებული აქვთ შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობით.

4. ერთი მხარის მიერ მეორისათვის მიწოდებული კონფიდენციალური ინფორმაცია დაცული უნდა იქნეს გამჟღავნებისგან და არ უნდა ეცნობოს მესამე მხარეს, ინფორმაციის მიმწოდებელი პირის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

**მუხლი 5. დასკვნითი დებულებები**

1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.
2. მემორანდუმი შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობით შეთანხმების საფუძველზე.
3. მემორანდუმის შეწყვეტა შესაძლებელია მხარის მიერ მეორე მხარისთვის შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე, ამგვარი შეტყობინების გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდეგ.
4. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით. ცვლილებები ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.
5. წინამდებარე მემორანდუმის ხელმოწერით ძალადაკარგულად ცხადდება მხარეთა შორის 2018 წლის 10 დეკემბერს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი.
6. მემორანდუმი გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა მხარეებს.
7. საკითხები, რომელებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე მემორანდუმით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

| | |
|---|---|
| **საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს სახელით** | **საქართველოს ეროვნული ბანკის სახელით** |
| **ირაკლი ლექვინაძე** | **ნათელა თურნავა** |
| **თავმჯდომარე** | **პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი** |